

ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირი N21ა საცხოვრებელი სახლის
N70 ბინაზე, მოქალაქე ჟენია ჩაკვეტაძისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა სულხან-საბას გამზირი N21ა საცხოვრებელი სახლის N70 ბინაში მცხოვრები მოქალაქე ჟენია ჩაკვეტაძის წარმომადგენლის ჰამლეტი ზალიკიანის განცხადება /2013 წლის 30.09 Nზ-10008/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირი N21ა საცხოვრებელი სახლის N70 ბინა/, საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის მოქალაქე ჟენია ჩაკვეტაძის სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირი N21ა საცხოვრებელი სახლის N70 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ჟენია ჩაკვეტაძეს /პირადი N60001009012/.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურმა /ბ.ცქიფურიშვილი/, ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირი N21ა საცხოვრებელი სახლის N70 ბინაზე საერთო ფართობი 31,45 კვ.მ. /საცხოვრებელი ფართობი 18,00 კვ.მ, დამხმარე ფართობი 13,45 კვ.მ./ მოქალაქე ჟენია ჩაკვეტაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე გ.შარაბიძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრადის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერის
მოვალეობის შემსრულებელი

კ.ლომიძე